

საპროფესორო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რუსთაშვილი სახლის ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1987 წ.

გამომცემი 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიო ჩემპიონატი აქროსროგაში

პირველი ნარკებება, პირველი სიხარული

როში. ბოლოს და ბოლოს ეს დღეც დადგა: საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. 400 მეტრზე რბენაში ოლეგ ბრიზგინამ ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა — 49,38 და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. არა და იყო მომენტი, როცა ბრიზგინას გამარჯვებას ვერაფერი უმუნებდა. ყველაფერი ფინიშის სწორზე გადაწყდა, სადაც საბჭოთა სპორტსმენმა დიდი სისწრაფე განავითარა.

სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე გამარჯვებულმა გულწრფელად აღიარა, რომ სტარტამდე ოქროს მედალზე არც უფიქრია და მხოლოდ სარბენ ბილიკზე გამოსვლის შემდეგ ირწმუნა, რომ ყველას დამარცხება შეეძლო. მეორე და მესამე ადგილები ამ სახეობაში გდრ-ის წარმომადგენლებმა პეტრა ბიულერმა (49,94) და კრისტინ ებელმანმა (50,20) დაისაკუთრეს. გერმანელი მწვრთნელები ამ შედეგით მთლად კმაყოფილი არ იყვნენ, ვინაიდან ოქროს მედლის მოპოვებას ვარაუდობდნენ. სამაგიეროდ 800 მეტრიან დისტანციაზე ეს დანაკლისი ნაწილობრივ აინაზღაურეს. აქ ჩემპიონი გახდა ზიგრუნ ვოდაჩი, რომელმაც ამავე დროს თავისი ქვეყნის რეკორდი გაუმჯობესა — 1:56,26.

სამშტომელთა ტურნირში მოვლენები საოცრად მშვიდად ვითარდებოდა. ამის მიზეზი ევროპის რეკორდსმენის ხრისტი იაკობის პირველი ნახტომი იყო. ბულგარელმა მძლეოსანმა ადვილად დასძლია

17 მეტრი და 70 სანტიმეტრი და მეტრეებს გუნება გაუფუჭა. მაგრამ მარკოვი არც ამ შედეგს დასჯერდა. მეოთხე ცდაზე 17 მ და 92 სმ აჩვენა (ევროპის ახალი რეკორდი) და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

ამოდ ცდილობდა ამერიკელი მაიკ კონლი ლიდერთან „დაახლოვებას“. მეექვსე ცდაზე მან 17 მეტრი და 67 სანტიმეტრი აჩვენა, რამაც ამერიკელს მხოლოდ ვერცხლის მედალი მოუტანა. ჩვენი მშტომელები ამჯერად „თამაშვარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდნენ. ზოგს, ალბათ, ჰქონდა საპატიო მიზეზი (ოლეგ პრეტენკო, მაგალითად, ტრავმის შემდეგ ჩვეულ ფორმაში ჯერ არ არის), ზოგს კი ასეთ მაღალ დონეზე ბრძოლის გამოცდილება, უბრალოდ რომ ვთქვათ, არ ეყო (ალექსანდრე კოვალენკოსა და ოლეგ სოკირკინს). თუმცა... 17 მეტრმა და 43 სანტიმეტრმა სოკირკინს საბოლოო ჯამში ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

ბადროსმტყორცნელ ქალთა შეჯიბრება გდრ-ის ღია ჩემპიონატს უფრო ჰგავდა. მსოფლიო ჩემპიონის მარტინა ჰელმანს და ევროპის 1986 წლის ჩემპიონს დიანა განსკის ღირსეული კონკურენცია მხოლოდ მსოფლიოს ექსტრეორდსმენმა ბულგარელმა ცვეტანა ზრისტიანამ გაუწია. ჰელმანის საუკეთესო შედეგი 71 მ და 62 სმ იყო. საბჭოთა ბადროსმტყორცნელები მსოფლიო სტანდარტებს ჯერჯერობით ჩამორჩებიან, ამიტომ მათზე სერიოზულ იმედებს არც ვაძყარებდით.

ღარი გზის დასაწყისი

ამდენ გაციკროვნებულ და ბედნიერ სახეს ერთად იშვიათად თუ ნახავს კაცი. შეკრებილთაგან ყველას ღიმილი ეფინა სახეზე. მათში ყოფილი მეტოქეებიც იყვნენ, დღეს უკვე თანაურსელები და თანაგუნდელები რომ ვახდენენ. ისინი, აწუკვე სტუდენტები, მომავალში ერთად დაიცავენ თავიანთი მშობლიური ინსტიტუტის სპორტულ ღირსებას.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს მიტინგის გამართვა. გუშინაც, 1 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებასა და ცოდნის დღესთან დაკავშირებით ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში ტევა არ იყო. მიტინგზე თავი მოიყარეს პირველკურსელებმა, მათმა მომავალმა პროფესორ-მასწავლებლებმა, ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა.

შეკრებილთ ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა თმარ გოგიაშვილმა. უფროსკურსელთა სახელით პირველკურსელებს ახალი გზის დაწყება მიულოცა ფრიადონა სანა სტუდენტმა თამარ მაკარაშვილმა. პირველკურსელებს საზეიმოდ გადასცეს ჩათვისის წიგნაკები, ხოლო თავად ახალბედა სტუდენტებმა ფიცი დადეს, რომ კარგად



ისწავლიან და თავიანთ მშობლიურ ინსტიტუტს ასახელებენ. მიტინგის შემდეგ, გავსაუბრებ ერთ-ერთ პირველკურსელს, სინკრონული ცურვის ოსტატს ხრისტინა ფალსანიდის.

— წლებადელი წელი ჩემთვის ყველაზე ბედნიერია, — გვიხარა ხრისტინამ. — ასეთი წარმატებები არასოდეს მქონია: ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი ვახვდი, გვიმარჯვე კუბაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, ბოლოს კი ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შევასრულე. ყველაფერ ამასთან ერთად ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. ვეცდები, სწავლა და სპორტი ერთმანეთს კარგად შევუთავსო.

...ამდენ გაციკროვნებულ და ბედნიერ სახეს ერთად იშვიათად ნახავს კაცი. ისინი, დღეს უკვე სტუ-

დენტები, მომავალში ერთად დაიცავენ თავიანთი მშობლიური ინსტიტუტის სპორტულ ღირსებას...

ავთანდილ ზაქვიფლი


სურათზე: პროფესორი ავთანდილ ციხაძე პირველკურსელებთან კითხულობს ლექციას; უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური მომზადების განყოფილების გამგე დავით ბანდურაშვილი პირველკურსელებს ულოცავს, ჩათვისის წიგნაკსა და სტუდენტებს გადასცემს საკავშირო თასის მფლობელს, წყალში მხტომელ დიანა მჭედლიძეს; პირველკურსელთა სახელით მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამს მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატი, საკავშირო თასის გათამაშების მერე პროფესორი ირმა უიფშიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



მანამა (ბახრინი). იუნორ ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ფინალში იგი ჯერ სამხრეთ კორეასთან დამარცხდა — 1:3, მერე კი მესამე ადგილისთვის მატჩი გფრ-ის ნაკრებს მოუგო — 3:1. ოქროს მედლები სამხრეთ კორეის ფრენბურ-


შელეხაიმი - ქიმიკალი



თელბმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში კუბის გუნდი აჭობეს — 3:2.

როში, მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა უროს მტყორცნელებმა, როსტოველმა სერგეი ლიტვინოვმა და კიეველმა იური ტაშმა. 83 მეტრსა და 6 სანტიმეტრზე ნაკურცენმა იარალმა ლიტვინოვს ოქროს მედალი მოუტანა, ტაშმა კი შედეგით 80,84 ვერცხლის მედალი მოიპოვა.

თბილისის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი



თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გერმან ზონინი დღეს პირველად გამოიყვანს მინდორზე ჩვენს გუნდს. გთავაზობთ ინტერვიუს ამ ცნობილ სპეციალისტთან.

პირველ ყოვლისა, გთხოვთ გითხროთ, რა ფუნქციების შესრულება გაეცხრებათ?

— მე თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დამნიშნეს.

სეზონის ბოლოს ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ გუნდს რომ ჩაიხარებთ, ალბათ რაღაცის იმედი უნდა გაქონდეთ...

— რა თქმა უნდა. უიმედო კაცის ცხოვრებას რა აზრი აქვს?

დიახ, მაგრამ, თქვენი გამოცდილებისა და ავტორიტეტის მიუხედავად, ბევრს არ ხკერა, რომ გუნდის თამაშის მკვეთრი გაუმჯობესება მოხერხდება.

მწვრთნელი ყოვლისშემძლე არ არის. და ცხადია, ერთი ხელის დაკვირვება პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ გუნდში პერსპექ-

ტიული ახალგაზრდობა და „დინამოს“ გამოცდილ, ავტორიტეტთან ფეხბურთელთა დახმარებით შევეცდები მდგომარეობის გამოსწორებას.

სულ მალე დინამოელებს მოუხდებთ ორი შეხვედრის ჩატარება უფუას თასის გათამაშების პირველ ეტაპზე, სადაც მათი მეტოქე სოფლის „ლოკომოტივი“ იქნება. ბულგარელებმა თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატში წარმატებით აიღეს სტარტი. რისი იმედი შეგვიძლია ვაქონოთ, დაძლევს „დინამო“ პირველ წინააღმდეგობას?


— შეგვიძლია გავისხენოთ არაერთი შემთხვევა, როცა ესა თუ ის გუნდი, ერთგულ ჩემპიონატში წარუმატებლობის მიუხედავად, კარგად გამოსულა საერთაშორისო ტურნირებში. ახლა ჩემი ძირითადი ამოცანაა ფეხბურთელებს საჭირო ფსიქოლოგიური გაწყობა შევუ-

ასლა უკვე გზატკეცილზე



31ნა. დამთავრდა ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ნახევარი. სპორტეო სახეობების წარმომადგენლებმა თავიანთი საქმეები უკვე მოაგარეს. ჩემპიონატი ახლა გზატკეცილზე გადაინაცვლებს, სადაც მედლების კიდევ რომდენიმე კომპლექტი გათამაშდება.

ტრეკზე ასპარეზობის ერთ-ერთი ბოლო სახეობა ტანდემებით შეჯიბრება გახლდათ. აქ, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ნაკრებს მონაწილეები არ ჰყოლია. ჩემპიონის ოქროს მედლებს ფრანგების ლუტი (ფ. კოლა და ფ. მანი) დაეპატრონა, მეორე ადგილზე გავიდნენ იტალიელები (რ. ნიკოტი, ა. ფარინი), მესამეზე — ჩეხების წყვილი (ვ. ვიბორლი, ლ. ხარგასი).



მეფასტის დღეს...

მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიებით აღინიშნა შემხების დღე ტყიბულში. გაიმართა შეჯიბრებები ცურვაში, კროსსა და ამანათობენში, მაგდის ჩოგბურთში. ამ ღონისძიებებში მონაწილე-

როგორ უნდა შეფაღეს აბჭოთა ველოსიპედისტების გამოსვლა ავსტრიის დედაქალაქში? ცხადია დამაკმაყოფილებლად. ჩვენმა გუნდმა მედლებიც ყველაზე მეტი მიიღო და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სპეციალისტებზეც ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. ყოველ შემთხვევაში წლეულს გაცილებით მეტი „ნადავლი“ გვაქვს, ვიდრე შარშან კოლორადო-სპრინგის მსოფლიო ჩემპიონატში გვაქონდა.

აი, როგორ განაწილდა მედლები სპეციალისტებში სპორტის ლიდერებს შორის:

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
საბჭოთა კავშირი	4	1	2
გდრ	1	4	1
იტალია	1	2	—
საფრანგეთი	1	1	1
აშშ	1	—	2

ეობა მიიღო 12 ფიზკულტურულ კოლექტივის ასობით წევრმა. ქალკის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში.

„ლელოს“ კორ.

# სხვაურთ სპორტულა მოედნება

ბათუმის მკვიდროდ დასახლებულ უბნებში თვალს ახარებს კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსები, კალათბურთისა და მინიფეხბურთის მოედნები, არასტანდარტული ტრენაჟორები, რომელთა გამოყენება მთელი წლის განმავლობაში შეიძლება — საექსპლოატაციოდ ეფექტურია, ადვილად ხელმისაწვდომია და მოსახერხებელიც, როგორც ჭვავფურც, ისე ინდივიდუალური ვარჯიშისათვის. ასეთი ტრენაჟორები უნდა დაიდგას კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც ჯანმრთელობის ბილიკი არ არის მოწყობილი.

ბათუმში არსებული სპორტული კომპლექსებიდან ყველაზე მეტად გამოირჩევა შეფი კოლექტივიზმის: ქიმიური ქარხნის (დირექტორი ბოის ფალოძე), ცენტრალური ნავთობგადამამუშავებლის (დირექტორი ჯემალ გორგოლაძე) და ხის დამამუშავებელი კომპანის (დირექტორი სერგო მოსესოვი) მოვლილი და ლამაზად გაფორმებული მოედნები. აქ პატრულებთან ერთად დიდებულაც მიუხედავად გული სავარჯიშოდ.

— დიას, ძველ და ახალ უბნებში უკვე 40-მდე მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი და მოედანი მოვაწყვეთ, — გვითხრა ქალაქის კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რომან კასრაძემ. — შევიძინეთ სპორტული ფორმები, ვაწყობთ ერთობლივ ღონისძიებებს, გადავხალისებთ შტატები: საბინაო-საექსპლოატაციო უბნის ზოგიერთი მეთოდისტი გავაფრთხილებთ. შექმნილია საბინაო-საექსპლოატაციო უბნების ფიზკულტურული მუშაობის საზოგადოებრივი საბჭო (თავმჯდომარე გივი ზამბახიძე), რომელიც თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს.

„დინამოს“ სტადიონზე იგება მძლეოსნური სარბენი ბილიკების საფარი, აღმოსავლეთ ტრანსპორტის დაემატა 5 ათასი სკამი, „ბენზეს“ დასახლებაში შეინდება სტადიონის საცურაო აუზი. აბაშიძის დასახლებაში შეიქმნა სპორტნაგებობათა კომპლექსი — სპორტის სასახლე, მხატვრული ტანვარჯიშის

და სპორტული თამაშების დარბაზები, ფეხბურთისა და კალათბურთის ორ-ორი მოედანი, ჩოგბურთის კორტი.

კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი 8 კორტი, საცურაო აუზში დაიდგება სახტომი კოშკი.

— ჩვენი ყოველ წელიწადს საწვრთნელ შეკრებებს ატარებენ ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო კლუბები, ასე რომ, ფეხბურთის პროპაგანდის საშუალება გვაქვს. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ბიჭების — „ხიანის“ გუნდის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში თავის გამარჯვება. — ამბობს რომანი — გადაწყვეტიეთ პერსპექტივაში ქალაქის სასახლე ავაშენოთ და სპორტთამაშებისათვის შევიძინოთ ლიონკონსტრუქციული ასაწყობი მოდული საცურაო აუზი.

ქალაქს აკლია ტურისტული აღქვრილობის, ველოსიპედების, ბადმინტონის გამჭვირავებელი პუნქტი, იმისათვის, რომ მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობა ფართოდ გაიშალოს, კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს მხარში უნდა ამოუდგნენ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, ფიზკულტურის კომიტეტი, საბინაო-საექსპლოატაციო უბნის და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

ნ.ს.ი ბაღდაძე.

## ქართული ჭიდაობის ვადლი



## კავთისხეველი ფალანხის თასზე

— დიას, თითქოს შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია: კავთისხეველი მოჭიდავემ პობრო პაპიაშვილმა სამშუთხეველარში ცხრა კაცი ზურგით გააქრა საჰიდაო არეზანს, — გვითხრა სპორტის ოსტატმა გიორგი ბასიაშვილმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, წარჩინებულმა პედაგოგმა, შრომისა და სამამულო ომის ვეტერანმა. პაპიაშვილმა ომის წინა წლებში მიიპყრო ჭიდაობის მოყვარულთა ყურადღება. იგი საქართველოს ოთხჯობს ჩემპიონი იყო. ერთხელ პობრო შეხვდა გორელ დიმი ბითარისვილს, რომელიც 140 კილოგრამს იწონიდა და 25 წამში შეჭებით გააქრა ხალიჩას. თვითონ პობრო 68 კილოგრამი იყო.

სწორედ პობრო პაპიაშვილის სახელობის თასი გათამაშდა მის მშობლიურ სოფელ კავთისხევეში. თასისთვის იბრძოდნენ ლამისყანის, ალაიანის, ზემო ხანდაკის, ხოვლესა და კავთისხევის მოჭიდავეები. საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში ერ-



თმანეთს შეხვდნენ ხოვლელი და კავთისხეველი მოჭიდავეები. შეხვედრა დამთარდა ფრედ — 4:4. ვინაიდან კავთისხეველებმა წმინდა გამარჯვებებს მეტოქეზე ნაკლები დრო მოანდომეს, პირველობაც მათ დარჩათ.

ს უ რ ა თ ე ზ ე: ჭიდაობა კავთისხევეში.

ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტოები.

## იი ღვას ქინისუი...

გორის რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სპორტულ ბაზებზე ხშირად ტარდება რაიონის ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ისე მეზობელი რაიონების მოჭიდავეები — მცხეთიდან, კასპიდან, ქარელიდან, სამხრეთ ოსეთიდან, ქალაქ გორიდან მოწვეული ფალანხები.

ერთი ასეთი შეჯიბრება ამასწინათ ქინისის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო, ასპარეზობა გახსნეს ნორჩმა ფალანხებმა ბ. კახიევმა და დ. ოქროპირიძემ. 45 წამში გამარჯვება იზიდა კახიევმა. შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ უფროსები: მერეთელმა მ. ჩახაშვილმა დაამარცხა კასპელი რ. ბეგალიშვილი.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ქიწინისელმა თ. დემეტრაშვილმა, სკრელმა ე. მაზიაშვილმა, ქიწინისელმა ი. ზანგურაშვილმა, კარალეთელმა გ. ბაზანდარაშვილმა და გ. გოგიაშვილმა, მერეთელმა შ. მახარაშვილმა, სკრელმა ნ. მამულაშვილმა, კარალეთელმა დ. შავლათუაშვილმა და მერეთელმა თ. აბუაშვილმა.

გამარჯვებულ ფალანხებს საბჭოთა მეურნეობის მიერ დაწესებული პრიზები და საჩუქრები გადაეცათ.

დიდი ინტერესი გამოიწვია აბსოლუტურმა პირველობამ. გამარჯვებულს ჭიდაობა შედიოდა ელოდა. ექვსი ფალანხი იბრძოდა ამ ჭიდაობისთვის. ფინალში წრთმა-

ნეთს შეხვდნენ დოესელი ილია თაბუაშვილი და მერეთელი თემურ აბუაშვილი. ძირითადად დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და ჭიდაობა გავრძელდა პირველ მომენტებამდე. აქ თემურ აბუაშვილმა იმარჯვა და ჭიდაობაც მას დარჩა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ მეურნეობის დირექტორს მიხეილ ქობლიანიძეს. სიტყვა ჩამოვარდა სპორტული მოედნების სიმცირეზე. დირექტორმა გვითხრა, რომ მეურნეობა თავისი სახსრებით აშენებს სოფლის საშუალო სკოლას, აღჭურვილს სპორტული კომპლექსით, სადაც მეურნეობის ფიზკულტურელებსაც შეეძლება ვარჯიში.

ილია თაბუაშვილი, „ლელოს“ კორ.

# „პიკის საათი“

პავსისტოში 8 წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს რადიოთი გადაცემა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „პიკის საათი“. ამ პროგრამამ თავიდანვე მიიპყრო მსმენელის ყურადღება რეპორაჟების, ინტერვიუების არასტანდარტული მოწოდებით. ყოველ გამოსვლაში განსაზღვრული დრო სპორტს ეთმობა. ჩვენ ვთხოვეთ რედაქციის ერთ-ერთ „ვეტერანს“, სპორტულ მიმოხილველს გიორგი ჩოგოშვილს „ლელოს“ მკითხველებისთვის ეამბნა, როგორ მზადდება გადაცემის სპორტული გვერდი.

გულშემატკივარი ყოველთვის დიდი ინტერესით ელის ამა თუ იმ მატჩს, მისი საყვარელი სპორტსმენის გამოსვლას საყვედრო და საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომ „პიკის საათის“ შემოქმედებითი ჯგუფი ცდილობს ყველაზე ადრე მიაწოდოს სპორტის მოყვარულებს ინფორმაცია.

მოგესხენებათ, რადიოთი ძირითად საფეხბურთო მატჩის მეორე ტაიმი გადაცემა. როცა „პიკის საათი“ საღამოობით გადის და ეთერში, მისი წამყვანის, ვახტანგ ნანიტაშვილის ინტელიგენტური გადაცემის ბოლოს პირდაპირ ვრთავდით სტადიონს, სადაც კომენტატორი პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე და საერთოდ ტაიმის მიმდინარეობაზე ესაუბრებოდა სპორტის მოყვარულებს, ბევრი დიდი საერთაშორისო ასპარეზობის შესახებაც დროზე მიგვიწოდებდა მსმენელისთვის ცნობა. დიუსელდორფში გამართული მატჩის დამთავრების შემდეგ საქალაქთაშორისო ტელეფონს არ მოსცილებიან ვახტანგ კობახიძე და ვახტანგ ნანიტაშვილი — ჩვენს ფეხბურთელებსაც მიაწვდიდნენ ხმა, მათი საუბარიც ჩაიწერეს და ძალიან კარგი რეპორტაჟი მოამზადეს.

1982 წელს, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, მატჩები ჩვენი დროითი ლამის 1 საათზე მთავრდებოდა. ფეხბურთელები და კომენტატორები 3 საათზე ბრუნდებოდნენ სასტუმროში. სწორედ მაშინ ვუკავშირდებოდით ესპანეთს და კოტე მახარაძის, ნიკოლაი ოზეროვის და ჩვენი დელეგაციის სხვა წევრების საინტერესო საუბარს მატჩის შემდგომი პრესკონფერენციების შესახებ მაგნიტოფონზე ვიწვრდით. ერთი ასეთი ჩანაწერი იმდენად საინტერესო გამოგვივიდა, რომ მონდა უპრეცედენტო შემთხვევა. ეს ჩანაწერი ერთ დღეს რადიოთი და ტელევიზიით ოთხჯერ (!) გადაიკეთებოდა.

„პიკის საათის“ მსმენლებს ალბათ ემასხვრებათ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მიღებული ჩანაწერებიც: სატელეფონო ხაზზე ირბაუბრენ. აქ ჩვენი ქვეყნის ნაკრები ქვეყნის მატჩებს მართავს. ყველა ინტერესებს შემძებს თუ არა ალექსანდრე ჩივაძე ტრავმის მოშუშებას და მოედანზე გამოსვლას. ჩვენც ამიტომ ვრეკავთ ირბაუბრენ. ჩივაძე, ვიდრე ჩაწერას დავიწყებდეთ, მეკითხება — ჩვენები როგორ არიან? თუ შეიძლება, დარეკეთ ჩემთან სახლში და ოჯახის ამბები გაამაგებინეთ. ოჯახში ყველა კარგადაა, მათაც ის ინტერესებთ, ითამაშებს საშა თუ არა. ერთადე მაგნიტოფონს, ალექსანდრე ჩივაძე სინანულით ამბობს, რომ ტრავმა ჯერ ვერ მოიშუშა, შემდეგ მექსიკურ შთაბეჭდილებებს ბეიზიარებს...

უყურადღებოდ არ დაგვრჩენია ჩვენი შესანიშნავი მოჭიდარეკე ქალების თითქმის არც ერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი, მაგრამ როგორც წესი, ასპარეზობის მსვლელობის დროს ვცდილობთ არ შე-

ვაწუხოთ ისინი. ერთხელ მია ჩიბურდანიძეს ბელგრადში დაგურვეთ ტურნირის მსვლელობისას. დროში სხვაობა კარგად ვერ გამოვითვალეთ და ჩვენი ჩემპიონი დილის 7 საათზე გავადვიდეთ. თურმე მიაიმ დაძინებდა ვეღარ მოახერხა და იმ საღამოს მოსაგებ პოზიციებში ყაიმით დაამთავრა პარტია. მას შემდეგ ტურნირების მსვლელობის დროს მოჭიდარეკეთ სტუდენტებს ან მათ შწვრთვულებს ვესაუბრებთ და მიღებულ ინფორმაციას ოპერატულად ვაწვდიდით ჩვენს მსმენლებს.

ამას წინათ ნანა იოსელიანს და ვუკავშირდით იუგოსლავიის ქალაქ ტულში, სადაც მან დამაჯერებელი მოიგო საზონათშორისო ტურნირი. ქეთევან არახაია, რომელმაც ასევე შესანიშნავად იასპარეზა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, „სახლში“ არ დაგვხვდა. ნანას ვთხოვეთ, ქართველი გულშემატკივრების სახელით მისთვისაც მიელოცა ეს წარმატება. კი, მაგრამ, იქ ჩვენი მომეზნა როგორ მოახერხეთ? — გვკითხა ნანამ ჩამოსვლისას, ეგ არაფერია იმასთან შედარებით, რაც თქვენ მოახერხებთ. — იყო პასუხი.

სტვადანსვა დროს „პიკის საათში“ გადავცით ინტერვიუ ნონა გაფრინდაშვილთან, დავით კვაჭაძესთან, ომარ ფხაკაძესთან, თემურაზ აფხაზავასთან, რინდ დასაყვთან, რამაზ შენგელიასთან, ალექსანდრე გომელსკისთან, ლევან მოსეშვილთან, ნელი სალაძესთან. წელს, დაბდების 50 წელთან დაკავშირებით, მიხეილ მესხის ინტერვიუ ჩამოვართვით. „დიდი ფეხბურთელად“ გაცილებს შემდეგ ვალდებურ გუკავივი შეგახვრეთ ჩვენს მსმენელს. გადავცით ინტერვიუები თბილისში მყოფ ცნობილ ვარსკვლავებთან მარიო კუმბუსთან, პია კრამლინგთან, ლეტო პესლითან, ეაკ ტიგანასთან, ფიფაში პრეზიდენტ ჟოზე აგუანთან... თუ შევძლებთ ჩვენს მიერ მომზადებული მასალების შეკრებას, იქნებ პატარა წიგნადაც გამოვიკეთ, მით უმეტეს, რომ გამოქვეყნდება „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა, მწერალმა და სპორტის დღმა მოყვარულმა გურამ ფანჯიციძემ მხარია დაუჭირა ამ იდეას. ვნახოთ. მანამდე კი ვეცდებით „პიკის საათის“ მსმენლებს ოპერატულად მიგაწოდოთ სპორტული ინფორმაციები, რეპორტაჟები, კვლავც შევანხვრეთ გამოჩინულ სპორტსმენებთან.

და ბოლოს, სპორტის მოყვარულებთან ერთი სათხოვარი გვაქვს: „პიკის საათის“ სპორტული გვერდის შესახებ აზრს ძირითადად ახლობლები, მეგობრები, კოლეგები გვიზიარებენ. იქნებ დაგვიკავშირდეთ, მოგვწეროთ ან დაგვირეკოთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ ჩვენს გადაცემაში. თქვენს სურვილებს აუცილებლად გავითვალისწინებთ.

გიორგი ჩოგოშვილი, სპორტული მიმოხილველი.

### მოკლედ

ჩხორაშვილი. სპორტკომპლექს „სიკაბუკეში“ საინტერესოდ მიმდინარეობდა სარიონო პირველობა მინიფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლესიკონეს შ. რუსთაველის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ლეწურწურუმეს კოლმეურნეობის გუნდები.

გალამყვეტი მატჩი მოიგეს ლესიკონელმა ფეხბურთელებმა 2:0, მესამე ადგილი დაიკავა ხაბუშ მეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა.

სოსო ჯალაღონი



სსრ კავშირის ჩამოშლის 50 წელიწადი

გაუზინ თბილისში შედგ. ექვალესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა ადგილობრივ „დინამოს“ და ცსკა-ს შორის.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ქვანიამ და ფანცულაიამ.


თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა:

ჭანტურია, ნადარეიშვილი, თეთრაძე, მალანია, წიკლაური, ფანცულაია, ჩხაიძე, ქორდანი, ქვანია (ავსჯანშივილი), აგოევი (გიშკარიანი), მიქაშვიდი.

81 აპრილის გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 21-ე ტურის მატჩები.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი მყურებელი დაესწრო მეტად მნიშვნელოვან მატჩს რუსთავეში, სადაც ადგილობრივი „მეტალურგის“ მიწა-თბილისის „მეგარდენის“-ს მიმართული იქნა გარდა ტრიბუნებზე ისინი საჭარბოვანად სსრ ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, რესპუბლიკის სპორტსაბჭოს ფეხბურთის სამმართველოს მუშაკები, მწვრთნელები, მსაჯები, მატჩის ოფიციალური ინსპექტორი და ყველა თვალმომლოვ ნახა თუ როგორ უდიერად, ხულიგნურად იქცეოდნენ რუსთაველი ფეხბურთელები.

მატჩს სჯიდა ზუგდიდელი არბიტრი ს. კვარაცხელია. თამაშის მსვლელობაში მან რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა და მათგან უმთავრესი ის იყო, რომ დროზე ვერ აღკვეთა „მეტალურგის“ მოთამაშეთა წრეგადასული თავდასხვაობა. ყოველი სასტვენის



შემდეგ, მეორე ტაიმში, რუსთაველი ფეხბურთელები გამუდმებით ელაგებოდნენ არბიტრს, დავობდნენ, უშეგრი ლანდლა-გინებით იკლებდნენ იქაურობას, ზოგიერთი მოთამაშის (სანიკიძე, ქასრაშვილი და სხვანი) ყოველ დაუშვებელი ფორმებით გამოხატავდა თავიანთ უკმაყოფილებას — მისუსტს აგლეჯდნენ ს. კვარაცხელის, ეს უკანასკნელი კი, ნაცვლად იმისა, რომ გადამჭრელი ზომებისთვის მიემართა, თავის დასაცავად უშეწოდებლად უკან რუსთავეის მილიციის მუშაკებზე აქტიურად რომ არ ჩარეულიყვნენ საქმეში უშუალოდ სათამაშო მიწაზე, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს. რუსთავეის „მეტალურგის“ სტადიონზე მომხდარი ინციდენტი ფრიალ სერიოზული დარღვევა, ოსტატთა კატეგორიის გუნდის ფეხბურთელებს არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებათ ის, რაც მათ ამ მატჩში

მოიმჩქედეს. გუნდის ხელმძღვანელებმა, ქალაქის სპორტის მესვეურებმა და უფრო ზემდგომმა ორგანოებმაც გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართონ. რათა აღკვეთონ თავიანთ გუნდში ამგვარი ყოველ დაუშვებელი ხულიგნური ექსცესები.

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ამას წინაშე გამოქვეყნებული იყო წერილი იმის თაობაზე, რომ თბილისის „მეგარდენის“-ს მიმართული საკავშირო გათამაშების კალენდარულ მატჩებზე ხშირად არა გვაქვს საჭირო ინფორმაცია მყურებელთათვის, მათ ვერ ვატყობინებთ თუ რა დღეებში და რომელ საათებში იმართება თამაშები. აწინაშეული წერილის თაობაზე გვიასუსხა თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „მეგარდენის“ ხელმძღვანელობამ. სპორტკლუბის ხელმძღვანელები გვაუწყებენ, რომ მომავალში სისტემატურად მოგვაცვდიან ზუსტ ინფორმაციას „მეგარდენის“-ს მიმართული თამაშების თაობაზე.

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

29 აპრილის ლანჩხუთში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის შეხვედრა ადგილობრივი „გურიასა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. თბი დამთავრდა ფრედ — 0:0. მეტოქეთა შემადგენლობანი:

„გურია“: ქანთარია (იშნაძე, 46), მიქაშვიდი, რომანოვი, ე. ზვიგაძე, ბონდარუკი (ცოხია, 80), ხლუხი, კობალაძე, ტყეშელაშვილი, ჩხაიძე (გიშკარიანი, 46), აკოფიანი, მგერელიაძე.

„დინამო“: ჭანტურია, ფიცხელაძე, ცვიბია, გუბაზი (ქორდანი, 82), კაკიაშვილი, კორძაია, ხვანია, სულაველიძე, ქვიციანი (ყვანია, 46), გურული (ხაბა, 46), შენგელია.

Table with 2 columns: Name and Score. Rows include: მსაჯი ვ. ზვიგინი (დონეცკი), სატურნირო მდგომარეობა „ბ“, ჯგუფი: თ. მფ. წ. ბ. ქ. „დინამო“ თბ. 4 2 2 0 9-4 6, „ნეფთი“ 4 2 1 1 5-5 5, „გურია“ 4 1 1 2 4-7 8, „არარატი“ 4 1 0 3 5-7 2

I ლიგის გუნდების 30 აგვისტოს მატჩში, რომელიც ვორონოვილოვარაში შედგა ადგილობრივი „ხარისის“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის (2:2), მოხდა წესრიგის უხეში დარღვევები. ამის გამო მოსკოვში მსაჯმა ა. ლუნიჩინმა მინდვილიდან გააძევა ვორონოვილოვარადელი ფ. სოროკა და ქუთაისელი ტ. კახანაძე, გააფრთხილეს ვ. კო-

ზარაძე („ხარია“), აგრეთვე, მ. ბიგაევა და გ. ტყეშელაშვილი („ტორპედო“). აღსანიშნავია, რომ ფ. სოროკას ამ გაძევებამდე I ლიგის მატჩებში 3 გაფრთხილება ჰქონდა მიღებული.

დონის რუსთავეის არმიელთა გუნდისა და ბათუმის „დინამოს“ მატჩში (1:0) ჯერ გააფრთხილეს და მერე მინდვილიდან გააძევეს არმიელი ი. კალბერძენი, ბათუმელთაგან გააფრთხილეს ა. ანდრულაძე და ა. გოგიტიძე.

წინა, 29-ე ტურში ბათუმის დინამოელებმა ვორონოვილოვარადის „ხარისთან“ (0:0) კვლავ დაარღვეეს წესრიგი. ამ მატჩში სარტოველმა მსაჯმა ლ. სედიუკოვმა გააფრთხილა ვორონოვილოვარადელი ფეხბურთელები ი. იაროშინკო და ვ. შურავლოვი, აგრეთვე, ბათუმელები ა. გორგილაძე, ლ. ბარათაშვილი, თ. კიკიაშვილი და გ. ზედანი.

ქუთაისელ გ. ტყეშელაშვილს მეორე გაფრთხილება აქვს მიღებული, ბათუმელ ა. ანდრულაძეს — მესამე, ხოლო მის თანაკლუბელ ა. გოგიტიძეს — მეოთხე.

ას დარღვევები ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს, ქუთაისის „ტორპედოს“ და ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელებმა გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართონ თავიანთ კოლექტივებში დისციპლინის დასამყარებლად.

### საზრანგეთის ნაბრკის შედეგები

პველანი მოუთმენლად მოგვლით ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც 9 სექტემბერს უნდა შედგეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელმა ანრი მიშელმა ერთგული ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე დასახელა ნაკრების 18 ფეხბურთელი, რომლებიც მან ამ მატჩისთვის შეარჩია: მესამე — ჟოელ ბატის, ბრუნო მარტინი; მესამე — მანუელ ამორო,

ვილიამ აიაში, პატრიკ ბატისტონი, ბაზილ ბოლი, ივონ ლე რუ, ალენ რაზო; ნახევარმცველები — დომინიკ ბიკოტა, ლუის ფერნანდესი, ერალოდ პასი, ფაბრის პულერი, ჟან-ფილიპ რობრი, კოზე ტურე; თავდასხმელები — ერიკ კანტონი, ფილიპ ფარფონი, ჟან-პიერ პავენი, იანიკ სტაპირა. ა. მიშელმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ კითხვის ქვეშაა მატჩში პ. ბატისტონისა და ე. კანტონის მოწვევით, რომლებსაც ჯერ კიდევ აწუხებთ ტრავმები. საფრანგეთის ნაკრების პირველი შეკრება დანიშნულია 5 სექტემბერს.

### აზნაგური მატჩი

პარაზა. შედგა პოლონეთისა და სსრ კავშირის 16 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების აზნაგური საერთაშორისო მატჩი. იგი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0.

ამვე გუნდების პირველი შეხვედრა პოლონეთის ქალაქ მირკოვოში გაიმართა და ასევე საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით აღინიშნა — 3:2.

### გინევემ „დინამოს“ საფეხბურთო სკოლა

სპორტსაზნაგურებმა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ოლიმპიური რეზერვის საფეხბურთო სკოლა აცხადეს სპორტული ჯგუფების საკონსულტო შეხვედრა 1977-1980 წლებში დაბადებული ბიჭებისთვის.


სკოლის მოსწავლეთა შერჩევა ჩატარდება კვირობით, 6, 13, 20, 27 სექტემბერს 10-დან 14 საათამდე. შერჩევას აწარმოებენ ბავშვთა ფეხბურთის გამოცდილი სპეციალისტები.

## სუთნლიანი უასპანაგის შედეგები

ოლიმპიადის წინა წელს სპორტში, ტრადიციულად, ახალგაზრდობის მოჭარბება იგრძნობა. ჩემპიონები ტოვებენ სარბიელს და გზას დებიუტანტებს უთმობენ, რომლებსაც ერთ წელს „აკლიმატიზაციისთვის“ საყვებით ჰყოფნიან. ამიტომ, როცა ორი ჩემპიონატის შედეგებს ვაღრებთ ერთმანეთს, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენად ახლოა მომდევნო ტურნირი ოლიმპიადისთან. ამ თვალსაზრისით კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შარშანდელი (ჩატარდა ბუდაპეშტში) და წლეგანდელი (ახლანდელ დამთავრდა კლერმონ ფერანში) ჩემპიონატების შედეგებს საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას გვაძლევს. ჯერ რამდენიმე სიტყვა გუნდურ შედეგებზე. აქ ერთი წლის მანძილზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში შარშანდელმა ლიდერებმა საბჭოთა კავშირმა და ბულგარეთმა პოზიციები წლეულსაც შეინარჩუნეს. წლეგანდელ მკვეთს მხოლოდ აშშ გამოაყვდა. მისი ადგილი უძლიერესა სიაში ფინეთმა დაიკავა. ცალკეულ წინით კატეგორიებში კი ცვლილებები უფრო საგრძნობია. დავიწყეთ იმით, რომ უძლიერესის სახელი შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონთაგან მხოლოდ ორმა ათლევამ მ. ალაპერდიევმა (48 კგ, სსრ კავშირი) და ტ. კომაროვიმ (82 კგ, უნგრეთი) შეინარჩუნა. დანარჩენ წონეებში ოქროს მედლებს ახალი მფლობელები გამო-

უნდა. მათ შორის ზოგიერთი ამ რანგის ტურნირების დებიუტანტი (მაგალითად, 57 კგ-ში ფრანგი პ. მურიე, 100 კგ-ში თბილისელი გ. გელეხაური). ორმა ჩემპიონმა შარშანდელთან შედარებით ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ესენია 62 კგ-ში მ. მაქილოვი (სსრ კავშირი) და 130 კგ-ში ტ. იუპანსონი (შვეიცია). პრიზიორთა რიგების მთლიანი განახლება მოხდა ოთხ წონაში — 52, 57, 68 და 74 კგ-ში. ესეც იმის ნიშანია, რომ მომავალ წელს ოლიმპიადებზე ძალთა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება მოხდება, ან უფრო უსუსტად რომ ვთქვათ, ბევრი ახალი მოჭიდავის გვარს გავიგებთ. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: კლერმონ ფერანის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა შორის თექვსმეტი ქვეყნის წარმომადგენლებს ვხვდებით, რაც წამყვან მოჭიდავეთა „გეოგრაფიის“ მნიშვნელოვან ზრდაზე მიგვანიშნებს. ცხრილში, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ნაჩვენებია რომელ ქვეყანას რამდენი პრიზიორი ჰყავდა წლეგანდელ ჩემპიონატში.

Table with 3 columns: Weight, Gold, Silver. Rows include: ფინეთი 1, 1; კუბა 1, 1; საფრანგეთი 1, 1; გერ 2, 1; პოლონეთი 1, 1; იტალია 1, 1; შვეიცია 1, 1; იუგოსლავია 1, 1; ჩეხოსლოვაკია 1, 1; აშშ 1, 1; ნორვეგია 1, 1; იაპონია 1, 1; რუმინეთი 1, 1



ერთნაირი რაოდენობით მივიღეთ — ხუთ-ხუთი. პრესაში ბევრი თბილი სიტყვა ითქვა საბჭოთა ნაკრების დებიუტანტებზე გურამ გელეხაურზე, რომელმაც უმაღლესი საჭიდაო მწვერვალი პირველსავე ცდით დაიპყრო. ამიტომ მათ აქ არ გავიმეორებთ. ისე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ 100 კგ-ში მსოფლიო ჩემპიონი საბჭოთა ნაკრებს უკანასკნელად 1981 წელს ჰყავდა (თბილისელი მიხეილ სალაძე). მას შემდეგ ოქროს მედლებს ამ წონაში ფლობდნენ პოლონელი რ. კროცლავსკი, ბულგარელი ა. დიმიტროვი (ორჯერ) და უნგრელი ტ. გამპარი. ხუთწლიანი პაუზის შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა, როგორც იქნა დაამკვიდრა ამ წონაში წამყვანი პოზიცია. ეს დიდი საქმეა. არა და ჩვენს რესპუბლიკის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ სტილში 1983 წლის შემდეგ არცაა ჰყოლია. მაშინ კიევი უმაღლესი ჯილდო ქუთაისელმა თემურაზ აფხაზაშვილმა (82 კგ) დასაჯეთრა, მეორე თემურაზი — ყაზარაშვილი კი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა 48 კგ წონით კატეგორიაში. გურამ გელეხაურის წლეგანდელი წარმატება ამ მხრივაც საგულისხმია. მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორთა სიას ჩვენი გაზეთი მუდამ აქვეყნებს და ამ ტრადიციას არც წლეულს ვუღალატებთ:

- 48 კგ. 1. მ. ალაპერდიევი (სსრ კავშირი), 2. ვ. მენცა (იტალია), 3. ლ. როინიშვილი (ნორვეგია).
- 52 კგ. 1. პ. როკეი (კუბა), 2. რ. კერპარი (პოლონეთი), 3. ა. იგნატევი (სსრ კავშირი).
- 57 კგ. 1. პ. მურიე (საფრანგეთი), 2. რ. ფილიცი (გერ), 3. კ. პეკოტენი (ფინეთი).
- 62 კგ. 1. ე. ვანგლოვი (ბულგარეთი), 2. ე. მაქილოვი (სსრ კავშირი), 3. შ. ნიშიდუჩი (იაპონია).
- 68 კგ. 1. ა. აბაევი (სსრ კავშირი), 2. შ. საბო (იუგოსლავია), 3. ე. კობანსკი (პოლონეთი).
- 74 კგ. 1. ი. სალომიანი (ფინეთი), 2. ე. ტრაჩი (ჩეხოსლოვაკია), 3. დ. ტურლიანოვი (სსრ კავშირი).
- 82 კგ. 1. ტ. კომაროვი (უნგრეთი), 2. რ. გიოსნერი (გერ), 3. ს. ნასევიჩი (სსრ კავშირი).
- 90 კგ. 1. ე. პოპოვი (სსრ კავშირი), 2. შ. მაიორი (უნგრეთი), 3. ა. კომშევი (ბულგარეთი).
- 100 კგ. 1. გ. გელეხაური (სსრ კავშირი), 2. დ. კოზლოვსკი (აშშ), 3. ვ. ანდრეი (რუმინეთი).
- 180 კგ. 1. ი. როსტროვსკი (სსრ კავშირი), 2. ტ. იუპანსონი (შვეიცია), 3. რ. გეროვსკი (ბულგარეთი).

გუნდური ადგილები. 1. სსრ კავშირი, 2. ბულგარეთი, 3. პოლონეთი, 4. ფინეთი, 5. უნგრეთი, 6. რუმინეთი.

